ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/15

06/08/2021 15-01-17-4-202108061356

ქ.ქობულეთი

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 61-ე მუხლის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს არჩევნების პერიოდში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი, თანდართული სახით;
2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს ბრძანების სათანადო პირებისათვის გაცნობა, ვებ გვერდზე განთავსება (kobuleti.gov.ge) და თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 24 აგვისტოს N01-17/6 ბრძანება;
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ნ.თხილაიშვილი);
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1(ერთი) თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა